საქმე №2/1076-14
330210314417469

4818011979425

www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

08.01.2019 წ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თამარ ბურჯანაძე

განმცხადებელი - სს ”თიბისი ბანკი” (კრედიტორი)

მოვალე - შპს ,,სანი"

მეურვე - აღსრულების ეროვნული ბიურო

მოთხოვნა -კრედიტორთა კრების მოწვევა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს ,,სანის" გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით კრედიტორთა პირველი კრების ფორმატით სხდომის დანიშვნა/ მოწვევის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 27 იანვარს განცხადებით მიმართა სს ”თიბისი ბანკი” წარმომადგენელმა მიხეილ გოგუაძემ და ითხოვა შპს ”სანის” (ს/კ 220016113) მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 03 თებერვლის განჩინებით განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში და შპს ,,სანი"-ს მეურვედ დანიშნული იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 23-ე, 29-ე მუხლის მე-2 და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტების თანახმად, კრედიტორთა პირველ კრებაზე კრედიტორთა ყოველი წარდგენილი მოთხოვნა მოწმდება მისი მოცულობის განსაზღვრის და დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ხოლო კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების დასრულებისთანავე იქმნება მომრიგებელი საბჭო.

ვინაიდან, კრედიტორთა პირველი კრების ფორმატში ჩატარებულ სხომებზე წარმოდგენილი კრედიტორული მოთხოვნების სრულყოფილი განხილვა ვერ მოხერხდა კრედიტორთა სიმრავლის გამო, წარმოების შემდგომი გაგრძელებისათვის შპს ,,სანის" კრედიტორთა პირველი კრების ფარგლებში უნდა დაინიშნოს სხდომა იმ დღის წესრიგით, რომელიც განსაზღვრულია კანონით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე, 32-33-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა პირველი კრების ფორმატში მოწვეულ იქნეს მორიგი სხდომა **2019 წლის 20 თებერვალს, 14:00 საათზე,** თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) **სხდომის დარბაზი №63**, შემდეგი დღის წესრიგით:

- კრედიტორთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კრედიტორად აღიარების შესახებ;
- მომრიგებელი საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა;

2. განჩინება გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე''-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სასამართლოს დაფაზე და ვებ-გვერდზე www.tcc.gov.ge;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ბურჯანაძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.01.22 17:26:20 +04'00'